ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2445654

ნომერი: AR1379994

თარიღი : 19.02.2016

გაცემის თარიღი : 25.02.2016

გაცნობის თარიღი : 01.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოგებაშვილი , N 48 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ჟღენტი პ/ნ 01007011102
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 77 კორ. 5 ბ. 8

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

2016 წლის 19თებერვალს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ _ არქიტექტურის სამსახურს #AR1379994 განცხადებით მომართამოქ: ლევან ჟღენტმა და მოითხოვაქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. #48–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.15.02.052.009), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ1–ს 3,5–მდე მომატება, რის შემდგომ ამავე განაცხადის შეტყობინების ველში განმცხადებლის მიერ დაფიქსირდა მოთხოვნა საკითხის განუხილველად დატოვების თაობაზე.

ვინაიდან განმცხადებელი უარს ამბობს თავის პირვანდელ მოთხოვნაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-83 მუხლის შესაბამისად სამსახურმა მიიღო გადაწყვეტილება მოქ: ქეთევან ფანცულაიას 2016 წლის 19 თებერვლის #AR1379994 განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

ვბრძანებ

განუხილველად დარჩეს მოქ: ლევან ჟღენტის 2016 წლის 19 თებერვალს #AR1379994 განცხადება ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ. #48–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.15.02.052.009), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ1–ს 3,5–მდე მომატების თაობაზე;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.